



N 04/291
20.02.2026

ბრძანება

291-01-4-202602201551



ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) მიერ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8¹ მუხლის, მე-16 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) მიერ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით.
2. ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) მიერ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.




5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე



გადაწყვეტილება

ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) მიერ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსათვის (შემდგომში - სააგენტო) ცნობილი გახდა, რომ 2025 წლის 31 ოქტომბერს ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა“ (ს/ნ 404987332) შეიძინა შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) (კონცენტრაციის განხორციელებამდე შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“) 40%-იანი წილი. ეს ტრანზაქცია, წილის მოცულობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას.¹

ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) მიერ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილის შეძენის ფაქტთან დაკავშირებით, 2025 წლის 17 დეკემბერს სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს - ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს“ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ეთხოვა პოზიციისა და როგორც მისი, ასევე შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს 2024 წლის ერთობლივი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა. ასევე, სააგენტომ მხარისაგან ითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა თუ რატომ არ მოხდა სააგენტოში წინასწარი შეტყობინების წარმოდგენა და არსებობდა თუ არა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11² მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საგამონაკლისო შემთხვევა.²

სააგენტოს წერილის პასუხად 2025 წლის 24 დეკემბრის N01/8019 კორესპოდენციით ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წერილობითი პოზიცია განხორციელებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით და ინფორმაცია 2024 წლის ერთობლივი შემოსავლების შესახებ.

სააგენტოს მიერ დამუშავებული დოკუმენტებით დადგინდა, რომ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს 40%-იანი წილის შეძენით ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ მოიპოვებდა იმგვარ უფლებებს, რაც მას შესაბამის ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა და, მაშასადამე, სახეზე იყო კონცენტრაცია.³ სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემებით დადგინდა, რომ

¹ სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 17 დეკემბრის N03/1846 მოხსენებითი ბარათი.

² სააგენტოს 2025 წლის 18 დეკემბრის N02/6337 წერილი.

³ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „კონცენტრაციად მიიჩნევა ასევე ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც/რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის/არ არიან მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად/ეკონომიკურ აგენტებად და რომელიც/რომლებიც უკვე აკონტროლებს/აკონტროლებენ სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს“. ამასთან,

განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებსაც კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის მდგომარეობით ერთობლივი შემოსავლების ნაწილში.⁴ კერძოდ, ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) ერთობლივი შემოსავალი 2024 წელს შეადგენდა () ლარს, ხოლო შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) ერთობლივი წლიური შემოსავალი – () ლარს.⁵ ამდენად, კონცენტრაციის მონაწილე ორივე სუბიექტის ერთობლივი შემოსავალი აჭარბებდა ხსენებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 29 დეკემბრის ბრძანებით შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილის შეძენა მიჩნეულ იქნა კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების სააგენტოს მიერ სავალდებულო განხილვის გარეშე განხორციელებულად.⁶ შემდგომ, როგორც სააგენტოსათვის კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს,⁷ დაეკისრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით, რამაც მისი 2024 წლის ერთობლივი შემოსავლის % შეადგინა.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში 2026 წლის 20 იანვარს N01/452 წერილით შემოვიდა შეტყობინება ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა“ (ს/ნ 404987332) და შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) შორის განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და მხარემ სააგენტოში წარმოადგინა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.⁸

ევროკავშირის პრაქტიკაში გამოყოფენ ერთპიროვნული და ერთობლივი კონტროლის ცნებებს, სადაც ერთპიროვნული კონტროლი გულისხმობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ცალმხრივად და დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. იურიდიულ საფუძველზე ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც პირი იძენს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების/წილების უმრავლესობასა და ამასთან დაკავშირებულ უფლებებს. კონტროლის უფლების მოპოვებისათვის, როგორც წესი, სუბიექტის მიერ შეძენილი წილები/აქციები უნდა მოიცავდეს ხმათა უმრავლესობის მოპოვებას. პირდაპირი კონტროლის ნათელი მაგალითია სწორედ ხმის უფლების მქონე წილების ან აქციების უმრავლესობის მოპოვება.

⁴ სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს. ამასთან, წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ჯამური ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

⁵ ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ მიერ 2025 წლის 24 დეკემბრის N01/8019 წერილით მოწოდებული ინფორმაცია და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემის მონაცემები.

⁶ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N 04/1592.

⁷ „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად.

⁸ 2026 წლის 20 იანვრის N 01/452 წერილი.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2024 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - მხარის მოსაზრება შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მოლოდინები კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ასევე, საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

კონცენტრაციის განხორციელებამდე შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 75%-იან წილს ფლობდა გელა გოგიშვილი (პ/ნ), ხოლო - 25%-ს ნიკოლოზ ჭელიძე (პ/ნ). განსახილველი ტრანზაქციის შედეგად კი, კომპანიის წილები შემდეგნაირად გადანაწილდა - გელა გოგიშვილი - 50%; ნიკოლოზ ჭელიძე - 10% და ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ (ს/ნ 404987332) – 40%.

ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) რექტორია გიორგი ბარკალაია (პ/ნ).

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:

ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს „ნიუ ვიჟენ ლიზინგი“ (ს/ნ 402194228) – 100%;
- შპს „NEWLIFE“ (ს/ნ 404933444) – 100%;
- შპს „წმინდა ლაზარეს კლინიკა“ (ს/ნ 404866659) – 100%;
- შპს „ნიუ ვიჟენ სპორტული კლუბი“ (ს/ნ 202058110) – 100%;
- შპს „ნიუ ვიჟენ ფილმს“ (ს/ნ 402203450) – 80%;
- შპს „ზარაფხანა დეველოპმენტი“ (ს/ნ 201989642) – 100%;
- შპს „საქართველოს საავიაციო აკადემია“ (ს/ნ 404506502) – 100%;
- შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“ (ს/ნ 404941827) – 100%;
- შპს „ნიუ ვიჟენ გენეტიკს“ (ს/ნ 402165651) – 76%;
- შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“ (ს/ნ 212917183) – 100%;
- შპს „ნიუ ვიჟენ ინფრასტრუქტურა“ (ს/ნ 404906125) – 100%;
-

ასევე, ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“ არის ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ (ს/ნ 402069854) დამფუძნებელი.

როგორც სააგენტოში წარმოდგენილ შეტყობინებაშია მითითებული, კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტებიდან კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე საქმიანობენ შპს „ნიუ ვიჟენ გენეტიკს“, შპს „წმინდა ლაზარეს კლინიკა“ და შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“.

შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა“ 2025 წლის 11 აგვისტოს შპს „ეი-ბი ემ“-ისგან (ს/ნ 404917328) შეიძინა შპს „ნიუ ვიჟენ გენეტიკს“-ის (ს/ნ 402165651) 25%-იანი წილი.

კონცენტრაციის ფორმა:

განხორციელებული კონცენტრაციის ფორმა არის წილის შეძენის გზით ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვება, კერძოდ, ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტმა“ (ს/ნ 404987332) შეიძინა შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილი.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განმარტებით, კონცენტრაცია რამდენიმე მიზანს ემსახურება - სამიზნე საწარმოს ინვესტირება (1), სერვისების ხარისხის ზრდა (2), რესურსებისა და მართვის ოპტიმიზაცია, ფინანსური რესურსების მობილიზება (3), რეინვესტირება ტექნოლოგიურ გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა, სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა (4), კვლევითი და სწავლების სფეროსთვის მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესება, აკადემიური და კლინიკური სფეროს სინერჯის ხელშეწყობა (5), სამედიცინო დაზღვევის ინდივიდუალიზებული სისტემის შექმნის ხელშეწყობა (6).

კითხვასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგებს მოიტანს კონცენტრაცია ბაზარზე, მხარეები მიუთითებენ შემდეგს - კონცენტრაცია ხელს შეუწყობს კვლევაზე, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და ინტერნაციონალიზაციაზე დაფუძნებული ახალი კადრების მომზადებას აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების სინერჯის გაძლიერებით, რაც არაპირდაპირი გამაუმჯობესებელი ეფექტის მქონე იქნება როგორც სამედიცინო მომსახურებათა ბაზრის, ისე სამეცნიერო და უმაღლესი განათლების სისტემისათვის. აა(ი)პ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ სამეცნიერო კვლევითი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ხელმისაწვდომი გახდება შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი - მცხეთას“ სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, რაც მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და უწყვეტი განათლების შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდის. ეს კი, თავის მხრივ, აისახება მცხეთის რეგიონში სამედიცინო სერვისების ხარისხზე. კონცენტრაცია, ასევე ჩართავს შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი - მცხეთას“ სამედიცინო პერსონალს უნივერსიტეტის კვლევით ცენტრებში არსებულ პროექტებში და, ამ გზით, უზრუნველყოფს სამეცნიერო პოტენციალის გაუმჯობესებას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მხარეთა პოზიციით, სერვისების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია ერთიანი „ცხელი ხაზის“ შექმნა და ამ გზით მომხმარებელთა ინფორმირებულობის ზრდა, რაც დაზოგავს დროსა და რესურსებს. მოთხოვნისა და მიწოდების საჭიროებათა შესახებ ცენტრალიზებული ინფორმაციის დამუშავების სისტემის დანერგვა გაზრდის ეფექტიანობას, გააუმჯობესებს სერვისის მიწოდების დროულობას და გაამყარებს

უკეთესი გამოსავლის შესაძლებლობებს. მჭიდროდ კოორდინირებული მენეჯმენტის პირობებში ივარაუდება, რომ გაიზრდება სამედიცინო კვლევითი მონაცემების ეფექტიანი ურთიერთგაცვლის, სპეციალისტთა შორის კონსულტაციების, პროფესიული აზრის გაზიარებისა და მულტიდისციპლინური მიდგომის შედეგიანობა მკურნალობის პროცესში, რაც დადებითად აისახება მომხმარებლებზე. აგრეთვე, მხარეთა განმარტებით, მედიკამენტების, სახარჯი მასალებისა და მომსახურებათა მომწოდებლებთან ერთიანი სტრატეგიით ურთიერთობა, გაზრდილი შესყიდვების ფონზე, გააჩენს შესაძლებლობას დანახარჯების შესამცირებლად. დაზოგილი ხარჯებით, გამოთავისუფლდება ფინანსური რესურსი, რისი გამოყენებითაც გაიზრდება სამედიცინო სერვისების ასორტიმენტი, ხოლო არსებული სერვისების ხარისხი გაუმჯობესდება. შემდგომის მოსაზრებით, ეს გაუმჯობესებანი, სხვა ნაბიჯთა შორის, დაკავშირებულია ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასთან, პერსონალის პროფესიულ გადამზადებასთან, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასთან, განსაკუთრებით, მცხეთის მუნიციპალიტეტში. მომსახურების მოცულობის ზრდა კი, შემდგომის მითითებით, გამოიწვევს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მატებას, ისე მომხმარებელთა მეტ წვდომას ჯანდაცვის სერვისებზე.

მხარეები კონცენტრაციის უმთავრეს დადებით ეფექტად მცხეთის რეგიონის მცხოვრებთათვის მეტი ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებას მიიჩნევენ. აგრეთვე, კონცენტრაციის დადებით ეფექტად მხარეები მიიჩნევენ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთის“, როგორც დამოუკიდებელი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი სამედიცინო ცენტრის ბაზარზე შენარჩუნებას, ამ უკანასკნელის

შეტყობინებაში ასევე მოცემულია საკითხები, რომლებმაც, მხარეთა მოსაზრებით, შესაძლოა გავლენა იქონიონ სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთის“ ფუნქციების შენარჩუნება;
- კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების მიერ

შესაბამისად, უშუალოდ განსახილველ ბაზარზე, რომელზეც ხდება კონცენტრაცია, ტრანზაქცია, პრაქტიკულად, უმნიშვნელო მოცულობისაა;

- შესაბამისი ბაზარი დაბალკონცენტრირებულია. შესაბამისად, კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას;
- კონცენტრაცია გააფართოებს აკადემიური კვლევისა და უმაღლესი სამედიცინო განათლების სფეროში სწავლების შესაძლებლობებს, რადგან საქმიანობა ასოცირებული იქნება საუნივერსიტეტო სივრცესთან;
- კოორდინირებული მართვა, აკადემიური სივრცის ფარგლებში, სფეროში არსებული გამოცდილებისა და მიდგომების გაზიარებით, შექმნის კარგ ნიადაგს გასაწევი მომსახურების ხარისხის ზრდისთვის, ხოლო შესყიდვების ოპტიმიზაცია და ადამიანური რესურსების მართვის განახლებული სქემა სერვისების ფასების კლებაზე შეიძლება აისახოს.

შეტყობინებაში მოცემულია მხარეთა პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც. კერძოდ, მითითებულია, რომ კონცენტრაციაში მონაწილე სუბიექტები საქმიანობენ სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, თუმცა ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ მთლიანი საქმიანობის მხოლოდ მცირედი ნაწილია ორიენტირებული ამ მიმართულებაზე. ამ კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი განათლების სფეროში მომსახურების გაწევა. რაც შეეხება კონცენტრაციის გეოგრაფიულ ბაზარს, კონცენტრაციის სუბიექტთათვის გეოგრაფიული სამოქმედო არეალია ეროვნული დონე - საქართველო, რადგან მომსახურებები ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის ქვეყნის მასშტაბით. რაც შეეხება დროით ჩარჩოს, იგი შეუზღუდავია, რადგან მომსახურების მიწოდება ხორციელდება პერმანენტულად, ყოველგვარი სეზონური, თუ რაიმე სხვა გრაფიკის მიხედვით, შეზღუდვების გარეშე.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11¹ მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ

ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ კანონის მიზნის მისაღწევად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტი მოქმედებდა განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, კანონდამრღვევი პირი მოქმედებდა მხოლოდ მოგების მიღების მიზნით (დამამძიმებელი გარემოება) თუ რთული ეკონომიკური მდგომარეობის ან განსაკუთრებული გარემოებების თავიდან ასაცილებლად (შემამსუბუქებელი გარემოება), აღიარებს თუ არა ეკონომიკური აგენტი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტს, პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. შესაბამისად, ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები.
4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი ეკონომიკური აგენტები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შექმენით, ხელშეკრულებებით ან სხვა

- საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;
7. კანონის 11¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
 8. კანონის 11¹ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;
 - ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
 9. კანონის 11¹ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
 10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11¹ მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
 11. კანონის 11¹ მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
 12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
 13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი

კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს;

14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.⁹

განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნების, კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული პირების საქმიანობის სფეროსა და სააგენტოს პრაქტიკის გათვალისწინებით,¹⁰ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება.

⁹ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰ იხ. სააგენტოს გადაწყვეტილებები: „შპს „ჯი ემ ეს სი საქართველოს სამედიცინო სერვისების კომპანიასა“ (ს/ნ 405546002) და შპს „მედკაპიტალს“ (ს/კ 205218030) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/php657hpi.pdf; სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა“ (ს/კ 211328703) და შპს „გნ კოს“ (ს/ნ 204964887) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/932de840af6e4c4db6c43e52454bc23b.pdf; შპს „ჯეო ჰოსპიტალსა“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/ნ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpFgXcH4.pdf; „შპს „მედკაპიტალისა“ და შპს „მედისონ ჰოლდინგს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/1599afd6223d41eb9e14c5c4d8eda85f.pdf; „სს „საქართველოს კლინიკებსა“ (ს/ნ 404476205) და შპს „გორმედს“ (ს/ნ 417876711) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpb1IDt3.pdf.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, განსახილველი კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

ვინაიდან, პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამის ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

კონკურენციის სააგენტომ, შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსისა და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გამოთვლისას იხელმძღვანელა სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 25 აგვისტოს N04/971 ბრძანების შესაბამისად, კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით მიმდინარე სამედიცინო მომსახურების ბაზრის მონიტორინგის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედა 169 სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება.¹¹ სააგენტომ აღნიშნული დაწესებულებებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია სამედიცინო მომსახურებების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების შესახებ როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორიული მომსახურებების მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტომ ბაზრის ანალიზის ნაწილში მხედველობაში მიიღო როგორც სამიზნე კომპანიის - შპს „ნიუ ვიჟენ საუნდერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს, ასევე ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკური აგენტის - ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნდერსიტეტო ჰოსპიტალის“ საბაზრო წილები. ამასთანავე, სააგენტომ შესაბამისი ბაზრის ანალიზის ნაწილში ცალ-ცალკე დამუშავა მონაცემები საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და მის მიღმა¹² მიღებული შემოსავლების მიხედვით. გარდა ამისა, მონაცემები დამუშავდა როგორც 2024 წლის, ასევე 2025 წლის ცხრა თვის (სექტემბრის ჩათვლით) შედეგების გათვალისწინებით, რადგან სააგენტოს ჰქონოდა სრული სურათი. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად კი გამოიკვეთა შემდეგი:

ამბულატორიული მომსახურება (გარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლებისა¹³) – 2024 წელი:

ბაზრის საერთო მოცულობა - **574 676 508** ლარი; ბაზარზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა - **143**; შპს „ნიუ ვიჟენ საუნდერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს წილი - **%**; ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნდერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - **%**; HHI კონცენტრაციის განხორციელებამდე

¹¹ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 18 სექტემბრის MOH 4 25 01047889 (სააგენტოში რეგ. N01/5543; 19.09.2025).

¹² გარდა სახელმწიფოს მიერ გაცემული სხვა სახის დაფინანსებებისა.

¹³ მხედველობაში არ იქნა მიღებული არც სახელმწიფოს მიერ გაცემული სხვა სახის დაფინანსებები.

- **314.5**; HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **314.52**; კონცენტრაციის ცვლილების მაჩვენებელი (Δ HHI) – **0.02**.

სტაციონარული მომსახურება (გარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლებისა¹⁴) – 2024 წელი:

ბაზრის მოცულობა - **477 370 670** ლარი; ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **153**; შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს წილი - %; ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - %; HHI კონცენტრაციის განხორციელებამდე - **239**; HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **239.34**; კონცენტრაციის ცვლილების მაჩვენებელი (Δ HHI) – **0.34**.

ამულატორიული მომსახურება (გარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლებისა¹⁵) - 2025 წელი, 9 თვის მონაცემები:

ბაზრის მოცულობა - **479 346 717** ლარი; ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **141**; შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს წილი - %; ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - %; HHI კონცენტრაციის განხორციელებამდე - **308.19**; HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **308.21**; კონცენტრაციის ცვლილების მაჩვენებელი (Δ HHI) – **0.02**.

სტაციონარული მომსახურება (გარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლებისა¹⁶) – 2025 წელი, 9 თვის მონაცემები:

ბაზრის მოცულობა - **399 754 314** ლარი; ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **151**; შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს წილი - %; ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - %; HHI კონცენტრაციის განხორციელებამდე - **226.32**; HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **226.95**; კონცენტრაციის ცვლილების მაჩვენებელი (Δ HHI) – **0.63**.

ამულატორიული მომსახურება (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლები) – 2024 წელი:

ბაზრის მოცულობა - **113 588 936** ლარი; ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **97**; შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს წილი - %; ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - %; HHI - **688.36**. კონცენტრაციის განხორციელების შემდგომ ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი არ შეიცვლება.

სტაციონარული მომსახურება (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლები) – 2024 წელი:

¹⁴ მხედველობაში არ იქნა მიღებული არც სახელმწიფოს მიერ გაცემული სხვა სახის დაფინანსებები.

¹⁵ მხედველობაში არ იქნა მიღებული არც სახელმწიფოს მიერ გაცემული სხვა სახის დაფინანსებები.

¹⁶ მხედველობაში არ იქნა მიღებული არც სახელმწიფოს მიერ გაცემული სხვა სახის დაფინანსებები.

ბაზრის მოცულობა - **940 747 603** ლარი; ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **133**; შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს წილი - %; ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - %; HHI კონცენტრაციის განხორციელებამდე - **251.3**; HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **251.41**; კონცენტრაციის ცვლილების მაჩვენებელი (Δ HHI) – **0.11**.

ამულატორიული მომსახურება (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლები) – 2025 წლის 9 თვის მონაცემები:

ბაზრის მოცულობა - **95 981 810** ლარი; ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **90**; შპს ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - %; HHI - **782.4**. კონცენტრაციის განხორციელების შემდგომ ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი არ შეიცვლება.

სტაციონარული მომსახურება (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შემოსავლები) – 2025 წლის 9 თვის მონაცემები

ბაზრის მოცულობა - **763 596 938** ლარი; ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **131**; შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს წილი - %; ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ წილი - %; HHI კონცენტრაციის განხორციელებამდე - **258**; HHI კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ - **258.64**; კონცენტრაციის ცვლილების მაჩვენებელი (Δ HHI) – **0.64**.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბაზარი ყველა ზემოჩამოთვლილი მიმართულებით დაბალკონცენტრირებულია. კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული სუბიექტების საბაზრო წილები მცირეა. შესაბამისად, უმნიშვნელოა ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის ზრდის მაჩვენებელიც.

გარდა ამისა, ვინაიდან, შემძენი წარმოდგენილია საგანმანათლებლო საქმიანობის, კერძოდ, უმაღლესი განათლების მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობის ბაზარზე, სააგენტომ განსახილველი ტრანზაქციის შესავასებლად ბაზარზე კონცენტრაციის დონე შეისწავლა ამ მიმართულებითაც.

სააგენტომ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოში არსებული აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შესახებ მათი მისამართების, სტუდენტთა რაოდენობისა და სწავლის ღირებულებების მითითებით.¹⁷ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაბამის პერიოდში ბაზარზე მოქმედებდა 63 აკრედიტებული უნივერსიტეტი, ხოლო მოქმედი სტუდენტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 189 384 -ს. რაც შეეხება - ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ ინდივიდუალურ მონაცემებს, მისი აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა -ს (ბაზრის %). ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი) კი გაუტოლდა 599.72 ერთეულს, რაც ასევე დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია.

¹⁷ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს N02/4387 წერილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს შეფასებით, განსახილველი კონცენტრაცია თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის“ (ს/ნ 404987332) მიერ შპს „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი-მცხეთა“-ს (ს/ნ 401993508) 40%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.